ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 189

"19" მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

„საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის №12.25.259 დადგენილებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტისა და 127² მუხლის, ასევე, „საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის №12.25.259 დადგენილებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 მაისის №23.669.772 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს „საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის №12.25.259 დადგენილებით გათვალისწინებული პირობა - „ტაძრის მშენებლობისათვის" №01.15.07.017.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე